№2 2012

მასწავლებელი

წიგნიერების
ტრადიციული და
ახალი სახეები

თეორიები
სწავლების სტილის
შესახებ

ინტერნეტგაზეთი
mastsavlebebli.ge

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
გმირ კურსანტთა ქ. №1

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009" წიგნის მაღაზიაში – ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 96 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის

კითხვის ეფექტური მეთოდები
სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი

მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად:

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო

ჟურნალი „მასწავლებელი"

რედაქტორისგან

ვფიქრობდი, რა მეთქვა თქვენთვის. იმის შესახებ ხომ არ მომეთხრო, რასაც ჟურნალის ამ ნომერში წაიკითხავთ. თუმცა იქვე გავიფიქრე, ამას ისედაც ნახავენ, როცა ჟურნალს გაეცნობიან-მეთქი. თან სარჩევიც მშვენივრად გამცნობთ, რომელ გვერდზე რა მასალის ხილვა შეგიძლიათ.

ვფიქრობდი, იქნებ ის პრობლემა ან პრობლემები, ან გამოწვევები შემეხსენებინა, რაც დღეს მასწავლებლების წინაშე დგას-მეთქი. გადავიფიქრე – ამაზეა თითქმის ყველა სტატია ჩვენს ჟურნალში.

„ან იქნებ ეს, ან ის“, – დავიწყე საკუთარ თავთან კამათი. ბოლოს მაინც გადავწყვიტე, ისევ mastsavlebeli.ge-ზე გესაუბროთ. ჯერ ახალია, სულ რაღაც ორი თვეა არსებობს. მართალია, ინტერესს იწვევს და მკითხველი და გულშემატკივარიც გამოუჩნდა, მაგრამ ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მეტმა მასწავლებელმა გამოიყენოს ეს რესურსი. გამოგვეხმაურონ, მოგვწერონ, რა მოსწონთ და რა – არა, რა კუთხით იქნებოდა უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო მათთვის გაზეთის მუშაობა.

ინტერნეტგაზეთის კედელი ორშაბათიდან პარასკევამდე მართლაც საჭირო და მნიშვნელოვანი ამბებით ივსება. მას თავისი გვერდი აქვს www.facebook.com-ზე. ყველა სიახლე, რაც დღის განმავლობაში გაზეთის კედელზე ხვდება, სოციალურ ქსელში ვრცელდება და იქ კომენტარის გაკეთებაცაა შესაძლებელი.

თქვენი წერილები და სტატიები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელექტრონულ მისამართზე: info@mastsavlebeli.ge.

გაზეთის გაცნობა, მიმოწერა და კომუნიკაცია დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან და სკოლიდანაა შესაძლებელი. ჩვენც ურთიერთთანამშრომლობის ძალიან დიდი სურვილი გვაქვს.

ჟურნალის ამ ნომერში მცირე ამონარიდები ჩავსვით mastsavlebeli.ge-ს კედლიდან. მასწავლებელი, რომელიც პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს და, მით უფრო, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის ემზადება, აქ ბევრ საგულისხმო მასალას იპოვის. ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკისა და მათემატიკის ამოცანებსაც ნახავთ თავთავიანთი ამოხსნებითურთ.

ინტერნეტგაზეთის „პორტფოლიოში“ კი სერტიფიცირებული და პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლები ძალიან საჭირო რესურსებს იპოვიან. მოკლედ, გაეცანით ამ გაზეთს და წაიკითხეთ. ვიცით, რომ სხვა საკითხავ-საზრუნავიც ბევრი გაქვთ, მაგრამ, როგორც ფრანგი მწერალი დანიელ პენაკი ამბობს: „კითხვის სიყვარული ზოგადად სიყვარულს ჰგავს – თუკი მოვიდა, არასოდეს ვიკითხავთ, გვაქვს თუ არა საამისო დრო“.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

N2(20),2012

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: გიორგი ნოზაძე, მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, რუსუდან თაყაიშვილი, მარიკა სიხარულიძე, ანა ჯანელიძე, ნონა ლეიაშვილი, ქეთო ნინიძე, თეო ჭყოიძე, ნინო მასურაშვილი, ზურაბ ჯამბურია, ნათია ნაფეტვარიძე, ქეთევან კუპატაძე, თინათინ სახელაშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

გიორგი ნოზაძე

5 საგნობრივ შედეგებზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა

სტატიის ავტორი აანალიზებს საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობას და მკითხველს ზოგიერთ დაკვირვებას და მიგნებას უზიარებს, რაც არასრული ჩამონათვალია იმ საგნობრივ-მეთოდიკური და საორგანიზაციო სამუშაოებისა, რომელთა შესრულებაც საჭიროა გაკვეთილებამდე (მოსამზადებლად) და გაკვეთილების შემდეგ (რეფლექსიისთვის).

მანანა ბოჭორიშვილი

9 სწავლის პროცესი – გზა ცოდნის მიღებიდან შემოქმედებით აზროვნებამდე

მოსწავლის მოტივაციის გასაღრმავებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღქმითი ხასიათის სავარჯიშოებიდან შექმნა-წარმოებისკენ მიმართულ სავარჯიშოებზე გადასვლას. შექმნაზე ორიენტირებული აქტივობები სტიმულის მატარებელია. საზოგადოდ კი, ასეთი მიდგომა მოსწავლეებში ზრდის კომპეტენტურობის შეგრძნებას, რაც მათი მოტივაციის საფუძველი ხდება.

თეო ნეფარიძე

20 წიგნიერების ტრადიციული და ახალი სახეები – წერა-კითხვის ცოდნა გუშინ და ციფრული წიგნიერება დღეს

თანამედროვე, გლობალიზებულ სამყაროში მსოფლიოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ერთხელ მაინც ჰქონია რაიმე სახის ინტერაქცია სხვა ქვეყნისა თუ კულტურის წარმომადგენელთან. რაც შეეხება რეგულარულ კულტურათაშორის ურთიერთობებს, ზუსტი სტატისტიკა უცნობია, თუმცა, სავარაუდოდ, 200 მილიონი კაცია დასაქმებული მულტინაციონალურ კორპორაციებში, ხოლო დაახლოებით 400 მილიონი სამუშაოზე იყენებს ინგლისურ ენას.

მოსაზრება

მარიკა სიხარულიძე

12 უცხოური ენების სწავლება – ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტი

უცხოური ენების სწავლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპის ინტერკულტურული საზოგადოების განვითარებაში, რომელიც ტოლერანტობის, კრეატიულობისა და კულტურული მრავალფეროვნების პრინციპებზეა დაფუძნებული

ნონა ლეიაშვილი

16 მხატვრული ლიტერატურის განმავითარებელი ასპექტები სასწავლო პროცესში

მხატვრული ლიტერატურის გააზრება თავისთავად გულისხმობს შეფასებისა და თვითშეფასების უნარის განვითარებას. მხატვრულ ტექსტში აღწერილი მოვლენებისა თუ პერსონაჟების მიმართ მკითხველს ძალაუნებურად უყალიბდება ემოციური დამოკიდებულება, რომელიც შემდეგ გაცნობიერებულ დამოკიდებულებაში გადადის.

ქეთო ნინიძე

39 ინტერაქციულობა და ქართულის გაკვეთილები

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ თანამედროვე სწავლების თეორიები მოსწავლეზე ორიენტირებულია? უმთავრესი ცვლილება და მიდგომათა განსხვავება უნდა გავიგოთ ასე – დღეს მოსწავლეები სასწავლო პროცესის პასიური შემსრულებლები კი არ არიან, არამედ აქტიურად მონაწილეობენ სისტემის მართვაში.

ზურაბ ჯამბურია

24 რა ვასწავლოთ?

როგორ უნდა გამოუმუშავდეს მოსწავლეს სხვადასხვა უნარ-ჩვევა, თუ სწავლება მხოლოდ დამახსოვრებაზე იქნება აგებული? როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ კრიტიკული აზროვნება მხოლოდ ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებით? როგორ უნდა ისწავლოს არგუმენტებით მსჯელობა, თუ მას არ მიეცა საკუთარი აზრის გამოთქმისა და მისი არგუმენტებით დასაბუთების საშუალება? ამ კითხვებზე პასუხს ამ სტატიაში იპოვით.

თინათინ სახელაშვილი

49 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლების ეფექტური მეთოდები

სკოლის ფუნქცია და დანიშნულებაა, რომ მოსწავლეებში სხვადასხვა ჩვევა, ნიჭი განავითაროს. ჩემი აზრით, მასწავლებლის მიზანია, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე, ძალდატანებისა და ზედმეტი ჩარევის გარეშე მიაწოდოს ისეთი მასალა, რომელიც მოზარდის ცოდნას კიდევ უფრო გაამდიდრებს.

შინაარსი

51

რესურსი

31 | **მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა**
რუსუდან თაყაიშვილი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურებზე სავალდებულოა ესთეტიკური აღზრდის საგნები: მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ქართული ცეკვა. არჩევითი კურსების სახით შეთავაზებული საგნები: თეატრალური ხელოვნება და კინოხელოვნება, ხელოვნების ისტორია, ფოლკლორული ანსამბლი, ასევე – ინტეგრირებული მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების პრაქტიკული კურსი, – აფართოებს ამ სფეროს და დასრულებულ სახეს ანიჭებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ხელოვნების დარგების სწავლებას.

35 | **თეორიები სწავლის სტილის შესახებ**
ანა ჯანელიძე

სწავლობენ თუ არა ადამიანები განსხვავებულად? სწავლობს თუ არა უკეთ ბავშვი იმ შემთხვევაში, როდესაც მას ცოდნა რომელიმე სტიმულის საშუალებით მიეწოდება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ.

46 | **რა უნდა ვიცოდეთ ლითონებზე და არამხოლოდ მათზე**
ქეთევან კუპატაძე

მარადიული კითხვებია: რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ? პირველ შეკითხვაზე პასუხი გაცემულია. აი, მეორე კი მუდმივი ძიებისკენ გვიბიძგებს. მართლაც მნიშვნელოვანია, როგორ ვასწავლით, რა მეთოდებს ვიყენებთ და როგორ ვთავაზობთ მოსწავლეებს ისეთი რთული საგნის საკითხებს, როგორიც ქიმიაა.

მასწავლებელი

51 | **ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების ასპექტები**
ნინო მასურაშვილი

ინტეგრირებული სწავლება ხელს უწყობს იმის გაცნობიერებას, რომ სალიტერატურო ენის ნორმები მართლწერისა და მართლმეტყველების ერთადერთი საშუალებაა. თუმცა ახლა სხვა პრობლემამ იჩინა თავი. სახელმძღვანელოებში არაორგანიზებულად არის შემოთავაზებული ენის საკითხები, მხოლოდ მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული ენის ინტენსიურად შესწავლა ლიტერატურასთან კავშირში.

რჩევები

43 | **სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები**
თეო ჭყოიძე

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მომავალ წარმატებაში.



ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30

53 | **სასწავლო-სოციალური ქსელი**
ნათია ნაფეტვარიძე

თანამედროვე პირობებში ძნელი წარმოსადგენია ცხოვრება კომპიუტერის, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების გარეშე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაფერზე იმდენს არ ლაპარაკობენ, რამდენსაც სოციალური ქსელების ავკარგიანობაზე. ეს ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი სოციალური თემაა, ამიტომაც მისთვის გვერდის ავლა შეუძლებელია. რა დადებითი თუ უარყოფითი მხარეები აქვს სოციალურ ქსელს? როგორ შეიძლება მისი ისე გამოყენება, რომ მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ? ამ თემას არაერთხელ შეხებიან და ალბათ კიდევ კარგა ხანს მოუწევთ მასზე საუბარი.

დიმიტრი შაშკინი

იმ ფაქტს, რომ წელს 41 ათასმა მასწავლებელმა გამოთქვა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლისა და საკუთარი თავის მასწავლებლის პროფესიაში დამკვიდრების სურვილი, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგს მიაჩნია, რომ ეს ერთწლიანი სავალდებულო სტაჟის გაუქმებამ გამოიწვია, ზოგიც მიიჩნევს, რომ მასწავლებლებს გამოცდებში მონაწილეობა დააძალეს. გარწმუნებთ, დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი ვითარება, ვინმეს გამოცდაზე გასვლა აიძულო. მასწავლებლებმა უბრალოდ დაიჯერეს, რომ სერტიფიცირება პროფესიული განვითარების აუცილებელი პირობაა და, ამასთან, ნდობა გამოუცხადეს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს.

მასწავლებლის პროფესიის არაპოპულარობაზეც ბევრი რამ ითქვა, მე კი ეს ყოველივე სხვაგვარად მესახება: გაიზარდა მასწავლებლის ავტორიტეტი, მისი მნიშვნელობა და, საზოგადოდ, სკოლის დანიშნულება; ამიტომაც არის დღეს ამ სფეროში დარჩენის ამდენი მსურველი.

აქვე მინდა გითხრათ: ერთწლიანი სავალდებულო სტაჟის გაუქმება (ადამიანს ბარიერებს რომ არ ვუწესებთ, ეს, ჩემი აზრით, ლიბერალური საზოგადოების ნიშანია) არ ნიშნავს, რომ ამ პროფესიის დაუფლება ადვილია. თითოეულმა მსურველმა სასერტიფიკაციო გამოცდებზე უნდა აჩვენოს თავისი როგორც საგნობრივი კომპენტენცია, ასევე პროფესიული უნარებიც.

ძალაში რჩება მასწავლებლის პროფესიის დაუფლების უკვე გამოცდილი გზა – მაძიებლობა. ეს პროგრამა სახელმწიფოს მხარდაჭერითა და უზრუნველყოფით კვლავაც გაგრძელდება და ყველა მსურველს ექნება არჩევანი, თავად გადაწყვიტოს, ამ პროგრამაში მონაწილეობით დაეუფლოს მასწავლებლის პროფესიას თუ თავად მოემზადოს და სასერტიფიკაციო გამოცდებში მიიღოს მონაწილეობა.

ის, რაც სახელმწიფომ ამ ორი წლის განმავლობაში გააკეთა მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, ვფიქრობ, მართლაც საგულისხმო და დასაფასებელია. ვინც პროცესებს აკვირდება, მაგრამ შედეგების დანახვა არ სურს, ვურჩევ, ნებისმიერ დროს მივიდეს თბილისის ან ქუთაისის მასწავლებელთა სახლებში და გულისყურით გაეცნოს მათ სამუშაო გეგმასა და პროგრამას, დააკვირდეს იქ მიმდინარე პროცესებს. მალე მასწავლებლის სახლები გვექნება ქობულეთში, ახალციხეში, ზუგდიდში. თუ ციფრებითაც დაინტერესდებით, ჩემთვის ცნობილი უკანასკნელი მონაცემებით, 2011 წელს და 2012 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში საგნობრივი და პროფესიული უნარების ტრენინგები 52082 მასწავლებელმა გაიარა. ტრენინგებს გადიან ასევე სკოლის დირექტორები, ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარების დაუფლების მსურველი მასწავლებლები და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები, რომლებმაც საგნის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარება გადაწყვიტეს.

მათ, ვისაც ინგლისური ენის პოპულარიზაცია აწუხებს, მინდა ვუთხრა, რომ რამდენიმე უცხო ენის დაუფლება ძალიან კარგია. ჩვენს ქვეყანაში არაერთი სკოლაა, სადაც შეგიძლიათ იმ ენის შესწავლა, რომელიც გაინტერესებთ. მაგრამ სახელმწიფოს აქვს თავისი სტრატეგია და ხედვა. თუ გვინდა, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში კონკურენტუნარიანი, მობილური და საჭირო ადამიანური რესურსები გვყავდეს, ინგლისური ენის სწავლა აუცილებელია.